პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№89 (5119)

1974 წ. 7 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

7 ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისი — რადიოს დღეა





მიხეილ ტატიშვილი თბილისის საცხენოსნო სპორტულ ბაზაში ექვსიოდე წლის წინათ მიიყვანა ამ რაინდული სახეობის სიყვარულმა. სიმამაცითა და შეუპოვრობით, რაც ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში მხედრის საუკეთესო თვისებად ითვლება, ახალბედა სპორტსმენმა საკლასიფიკაციო შეჯიბრებაშივე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. შემდეგ მიხეილმა რამდენიმე საპასუხისმგებლო ასპარეზობაში მიაღწია წარმატებას, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და საქართველოს ნაკრებ გუნდშიც დაიმკვიდრა ადგილი.

სპორტის ოსტატ კ. გაშბაიაზოვის ხელმძღვანელობით მ. ტატიშვილი ამჟამად ენერგიულად ემზადება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის. სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ ემორჩილება ერთ-ერთი რთული დაბრკოლება — „ორმაგი სისტემა“ — მიხეილსა და მის მერანს.

ბ. ვერშინინის ფოტო.

როგორც ვიუწყებოდით, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა პირად-გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ტამბოვში ჩატარდა, წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. სამი პირველი, ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი — აი, სპორტული ნადავლი, რამაც საქართველოს ნაკრები I ადგილზე გაიყვანა (19 ქულა). II ადგილზე გასულ რუსეთის ფედერაციის გუნდს საქართველოს ძიუდოისტებმა 11 ქულით აჯობეს, ხოლო მესამე პრიზიორს — უკრაინის ნაკრებს — 31 ქულით.

* * *

სურათზე: გამარჯვებული გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ი. ლაზრიშვილი, გ. დელიბაშვილი, დ. ხაბულიანი, თ. ბედოევი, ე. დამადაევი; მეორე რიგში (დგანან) — გ. დიღმელაშვილი (გუნდის წარმომადგენელი), ი. სიდამონიძე, ა. გაგიშვილი, ვ. ღარიბაშვილი, ზ. გელაშვილი, ნ. გელაშვილი, ნ. მელიქიძე, დ. ჭიაბერაშვილი, თ. არაბული (გუნდის უფროსი მწვრთნელი). ორი ძიუდოისტი — ტ. ციცაძე და ზ. შავლიაშვილი სურათზე არ არიან.

რვა გამარჯვება 13 წლის მანძილზე

ლონდონი, 5 მაისი. გუშინ აქ დამთავრდა ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატის პირადი შეჯიბრებები. გამოვლიხდეს ახალი ჩემპიონები ექვსივე წონითს კატეგორიაში.

მსუბუქ წონაში ოქროს მედალს დაეპატრონა კიეველი ოსტატი ს. მელნიჩენკო. მან კარგად ჩატარა მთელი ტურნირი, ფინალში კი ინგლისელი დ. და კოსტა დაამარცხა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ წონაში მთავარი ბრძოლების ძიღმა აღმოჩნდნენ ფრანგი სპორტსმენები, რომლებიც წლების მანძილზე უძლიერესებად ითვლებოდნენ. 26 წლის კიეველი ძიუდოისტის წარმატებას ინგლისელი სპეციალისტები კეთილგანწყობილად ეხმიანებიან.

ქვესაშუალო წონაში მთავარი ფავორიტები იყვნენ გ. კრიუგერი (გდრ) და ჩელიაბინსკელი ვ. დვოინიკოვი. ისინი ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ძალები იმდენად თანაბარი აღმოჩნდა, რომ ვერც ერთმა ვერ აიღო ქულა. ასეთ დროს ბრძოლის შედეგს მსაჯთა შეხედულება წყვეტს. და აი, არბიტრთა უმრავლესობის აზრით, კრიუგერი მთელი შეხვედრის მანძილზე უფრო აქტიური იყო. ამ გადაწყვეტილებამ გდრ-ის ძიუდოისტს ოქროს მედალი მოუტანა, დვოინიკოვი კი ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა.

ორი წლის წინათ ცნობილმა ფრანგმა ათლეტმა ჟ.-პ. კოშემ ევროპაში ოქროს მედალი მოიპოვა საშუალო წონის ძიუდოისტთა შორის. მაშინ მან უკან ჩამოიტოვა საბჭოთა სპორტსმენების დუეტი (გ. გოგოლაური და ა. ციუპაჩენკო), აგრეთვე, უნგრელი ლ. იკეში. მარშან კოშემ დაკარგა ეს ტიტული, წლეულს კი ისევ დაამტკიცა, რომ ამ წონაში მადალი არ ჰყავს. ჟ.-პ. კოშე ევროპის ჩემპიონი გახდა.

მთავარი სენსაცია ქვემძიმე წონაში მოხდა, სადაც ზევრი ცნობილი ათლეტი ასპარეზობდა. შეჯიბრების დაწყებამდე იუგოსლავიელ გ. ზუველას არავინ აქცევდა ყურადღებას. იქნებ ამიტომაც, მან შეუმჩნეველად გაიკაფა გზა ფინალისკენ, მერე მთავარი შერკინებაც მოიგო და პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

პირველად შიიღო ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი თბილისელმა გ. ონაშვილმაც. იგი რამდენიმეჯერ იყო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ახლა კი მის კოლექციას უმაღლესი ჯილდოც ამშვენებს. 120-კილოგრამიანმა მძიმეწონოსანმა ფინალში ჰოლანდიელ კ. დოლმანს წმინდად მოუგო.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში კიეველმა ს. ნოვიკოვმა წმინდად დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი და I ადგილი დაისაკუთრა. ჩოჩიშვილს ვერცხლის მედალი ერგო. ეს არც თუ ურიგო შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩოჩიშვილი ქვემძიმე წონის ძიუდოისტია და ფიზიკური მონაცემებით ჩამორჩება მასზე უფრო მძიმე ნოვიკოვს (ჩოჩიშვილი ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ ქვემძიმე წონაში გახდა).

დღეს დამთავრდა გუნდური ასპარეზობაც. ფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა ინგლისის გუნდს აჯობა და ევროპის ჩემპიონი გახდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ძიუდოისტები 13 წელია კონტინენტის ჩემპიონატებში ასპარეზობენ და ამ ხნის მანძილზე მათ რვაჯერ იზეიმეს გუნდური გამარჯვება.

საბჭოთა ათლეტებმა ორივე ტურნირის (პირადი და გუნდური) ჯამში მედლების ყველაზე უხვი ნადავლი მიიღეს: 4 ოქროსი, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოსი. მედლების სიმრავლით II ადგილზეა გდრ (1 ოქროს და 4 ბრინჯაოს ჯილდო) ხოლო III — საფრანგეთი (1 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი).

ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაისად პარიზში ჩატარდება (7-11 მაისს), ხოლო 1976 წლის ტურნირს სსრ კავშირი უმასპინძლებს.

მორიგი ფირაქების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 30 აპრილს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი სახეობა ვერავინ გამოიცნო. ხუთი სახეობის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (იღბლიანი აღმოჩნდა 88 ბილეთი), ოთხისთვის — 68 (6594), სამისთვის — 4 მანეთი (147957).

„სპორტლოტო-2“: ექვსი სახეობა ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3256 მანეთია (41 ბილეთი), ოთხისთვის — 57 (2636), სამისთვის — 3 მანეთი (51846).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 11 მაისიდან 10 ივნისს ჩათვლით. (საკ. ინფ.).

საპატიო სიგელებით

ტელევიზიასა და რადიოში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისთვის და რადიოს დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის **საპატიო სიგელებით** დაჯილდოვდნენ:

გიორგობიანი ნ.—რადიოს სპორტული რედაქციის უფროსი რედაქტორი,

კახიძე თ. — რადიოს სპორტული რედაქციის რედაქტორი,

ქლიბაძე დ. — ტელევიზიის სპორტული რედაქციის უფროსი რედაქტორი,

ჩხეტიანი ნ. — სპორტული რედაქციის რეფერენტი,

ჭელიძე გ. — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული რედაქციის მთავარი რედაქტორი.

* * *

გაზეთის დაარსების 40 წელთან დაკავშირებით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის დარგში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა **გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი.**

ᲙᲘᲠᲙᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲘ

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ამას წინათ ლვოვში ჩატარებულ ტყვიის მსროლელთა საკავშირო საუწყებო შეჯიბრებაში მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლვა სროლაში თბილისელმა არმიელმა ე. აბაჯიანმა წარმატება მოიპოვა. ახლა დავუმატებთ, რომ აბაჯიანი შემდეგ სტანდარტზეც (3×40) გამოვიდა, ორი ვარჯიშის ჯამში 2304 (1150+1154) ქულა მოაგროვა და IV ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, დგომეა სროლაში მან 377 ქულა დააგროვა, მცირე ოქროს მედალი მიიღო და საქართველოს რეკორდი, რომელიც 1962 წლიდან თბილისის დინამოელ რ. ანანიკიანს ეკუთვნოდა, 3 ქულით გაუუმჯობესა.

ამავე შეჯიბრებაში სოხუმელმა ექიმმა, სპორტის ოსტატმა მ. პაპავამ მრგვალ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 50-მეტრზე სროლაში (მონაწილენი ამ ვარჯიშს სამ-სამჯერ ასრულებდნენ) საბოლოოდ 1673 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲜᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ბელგრადი, 4 მაისი. (საკ. ინფ.). ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიჯ-ი) გადაწყვეტილებამ, რომ ბულგარეთს ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის უფლება ჩამოერთვას, ვინაიდან იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებს ვიზებს არ აძლევს, მთელი სამყაროს სპორტული საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვია, — ნათქვამია ტანიუგის სააგენტოს ცნობაში.

ამ პროტესტებს უერთდება იუგოსლავიის ტანვარჯიშის კავშირიც, რომელიც ასევე მოითხოვს ფიჯ-ის საგანგებო კონგრესის მოწვევას.

დამიზნება ჭირდა

დნეპროპეტროვსკში დამთავრდა სსრ კავშირის მშვილდოსანთა საუწყებო საგაზაფხულო შეჯიბრება. უამინდობის გამო შედეგები სახარბიელო არ გამოდგა. ძოხაწილები მარტო მ-1 ვარჯიშს ასრულებდნენ.

ქალთა შორის ოთხი დისტანციის ჯამში იმარჯვა ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ვ. კობერნიჩენკომ — 1170 ქულა. II ადგილზეა ა. პეუნოვა (ლენინგრადი) — 1163, III — ვ. გაპჩენკო (მოსკოვი) — 1163. ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე VII ადგილზე დარჩა — 1139 ქულა.

ვაჟთა შორის კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ი. ფაინშტეინმა (ოდესა) — 1198 ქულა. კიეველმა ვ. სიდორუკმა ამდენივე ქულა მოაგროვა, მაგრამ II ადგილზე დარჩა. თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ტროპინი („სპარტაკი“) XII ადგილს დასჯერდა — 1130. 30 მეტრიდან სროლაში ტროპინმა ფაინშტეინთან წააგო ქულა და II ადგილი დაიკავა — 336.

ნახევარ ნაბეჯი

შარშან აპრილში ვილნიუსში „პრავდის“ პრიზზე გამართულ მძლეოსნურ კროსში საქართველოს ნაკრებმა 29 საჯარიმო ქულით II ჯგუფის კოლექტივებს შორის V ადგილი დაიკავა. ზუსტად ერთი წლის თავზე ამჯერად ფრუნზეში ჩატარებულ ანალოგიურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებმა 26 საჯარიმო ქულა მოაგროვეს და საფეხურით მაღლა აიწიეს. ეს წარმატება იმანაც დაამშვენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების გუნდების შეჯიბრებაში აჭარისა (21 ქულა) და აფხაზეთის (30) ნაკრებმა კოლექტივებმა II ჯგუფში შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს — წინ გაუსვეს მხოლოდ უალმუხეთის (7 ქულა) და ჩეჩენ-ინგუშეთის (18) წარმომადგენლები, III ჯგუფში კი სამხრეთ ოსეთის მძლეოსნებმა 29 ქულა მოაგროვეს და IV ადგილზე გავიდნენ (აქ უველას აჯობეს ადიღეს ავტონომიური ოლქის

დროს კი მიწერის მოყვარულნი იოლად ახერხებდნენ ფონს გასვლას და მუშაობის ნამდვილად მაღალ დონეზე დაყენებისთვის არ ზრუნავდნენ. ძალიან ხშირად ერთი საზოგადოება საკავშირო სარბიელზე სხვისგან ნათხოვარი სპორტსმენებით იწონებდა თავს. არავინ უარყოფდა, რომ ამგვარი თვალთმაქცობა ხელს უშლიდა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, ფორმალურად კიდეც ებრძოდნენ უალბისმქმნელებს. მაგრამ უველას ისევ დღევანდელი კვერცხი ერჩია ხვალინდელ ქათამს და ამიტომ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტიც კი ხშირად გაჩუმებას ამჯობინებდა.

შედეგად რა მივიღეთ? სპორტის უმეტეს სახეობებში უკან დავიხიეთ და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ტრადიციული V ადგილი დავკარგეთ.

და აი, ახლა საკავშირო კროსისთვის მზადების პერიოდში ძველმა სენმა კვლავ იჩინა თავი. სიუალბე გამოჩნდა მთელი სიგრძე-სიგანით, აშკარად. ეს განსაკუთრებით აჭარის გუნდზე ითქმის.

სად მარხია ძაღლის თავი?

სიყალბე შინოვით უნდა აამოიღვაას სპორტის განვითარებას ეს ყველაზე მეტად აფერხებს

სპორტსმენებმა — 12 საჯარიმო ქულა).

რაკი სიტყვა გუნდურ შეჯიბრებებზე ჩამოვარდა, ბარემ უველას შედეგებს ვაცნობთ და მერე ვნახოთ, ეს წარმატება რა გზით მოვიდა.

სპორტსაზოგადოებებს შორის „ა“ ჯგუფში პირველობა „ბორევესტნიკის“ ნაკრებს დარჩა. „დინამო“ და „სპარტაკი“ მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან. „ბ“ ჯგუფში საუკეთესონი იყვნენ „ტავრიკისტანის“ წარმომადგენლები. „განთიადმა“ VIII-XI ადგილები გაინაწილა. სასოფლო სპორტსაზოგადოებების ჯგუფში პირველობა „ნიამუნასის“ სპორტსმენებს ხვდათ. „კოლმეურნე“ XIII ადგილით დაკმაყოფილდა.

ქალაქებს შორის (მილიონამდე მცხოვრებით) უველაზე კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა ბაშკირიის დედაქალაქმა უფამ (ამ ავტონომიურმა რესპუბლიკამ პირველ ჯგუფში იმარჯვა) — 199 საჯარიმო ქულა. თბილისელებს 800 ქულით მეტი დაუგროვდათ და VI ადგილზე არიან. ხოლო შემდეგ, როცა უველა ქალაქს საერთო სიაში თავ-თავისი ადგილები მიუჩინეს, უძლიერესნი კიევის მძლეოსნები აღმოჩნდნენ — 117 ქულა. თბილისელები 48-ე ადგილზე გავიდნენ, ხოლო ცხინვალის კოლექტივმა 806 ქულით 97-ე ადგილი დაიკავა...

ამრიგად, საქართველოს კროსმენებმა შარშანდელთან შედარებით ერთგვარი წარმატება მოიპოვეს. მაგრამ თუ გავიხსენებთ შარშან 31 ოქტომბერს „ლელოში“ დაბეჭდილ წერილს „სპორტის დედოფალი“ ჩიხიდან უნდა გამოვიყვანოთ“ (წერილში ლაპარაკი იყო საქართველოში მძლეოსნობის სასტიკად ჩამორჩენის მიზეზებზე, გაკრიტიკებული იყვნენ აჭარაში, აფხაზეთში და სხვაგან მომუშავე მწვრთნელები), გავიხსენებთ ამას წინათ ბათუმში „პრავდის“ პრიზზე გამართული რესპუბლიკური კროსის შედეგებს (აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა მაშინ V და VI ადგილები დაიკავეს, ფრუნზეში კი, სადაც გაცილებით ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, უფრო მაღალ ადგილებზე გავიდნენ), უნებურად ეჭვი დაგვებადება. მაგალითად, საინტერესოა როგორ შეძლეს აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა რამდენიმე თვეში მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ საკავშირო ასპარეზობაში გუნდური III ადგილი დაისაკუთრეს, რაშია ამ წარმატების საიდუმლო?

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული სიყალბის წინააღმდეგ, ერთ

საკავშირო კროსში ამჯერადაც ექვსი ასაკის სპორტსმენები ასპარეზობდნენ სხვადასხვა დისტანციაზე. 16-17 წლის ქალიშვილები 1000 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (წინასწარ ვიტყვით: მასპინძლებს მეტად რთული დისტანციები მოეწყოთ და ამიტომ ტექნიკური შედეგები მაღალი არ იყო). სტარტზე 187 მონაწილეთ მოიყარა თავი. გამარჯვება მასპინძელთა პირველი გუნდის წევრმა მ. კულჩუნოვამ დაიხაკუთრა — 2.53,1. საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლები ასეთი იყო: რესპუბლიკურ კროსში გამარჯვებულმა, წალკელმა დ. ანანიკოვამ, რომელიც ფრუნზეში აჭარის გუნდისა და „კოლმეურნეს“ სახელს იცავდა, 145-ე ადგილი დაიკავა — 3.22,5. თბილისელმა ი. სტროგეცკაიამ — 146-148-ე ადგილები გაიყო — 3.24,0, ჟ. ზანთარიას (აფხაზეთი) 154-ე ადგილი ხვდა — 3.25,2.

18-19 წლის ქალებისთვის რბენის დისტანცია 1500 მეტრი იყო. 192 მონაწილეში უველაზე სწრაფი აღმოჩნდა მოსკოველი სპორტის ოსტატობის კანდიდატი რ. იზმაილოვა — 4.36,4. თბილისელი პირველთანრიგოსანი თ. მატიცინა 58-ე ადგილზეა — 5.03,0. ვ. სულავამ (აფხაზეთი) 141-142-ე ადგილები გაიყო (5.31,0), თბილისელმა სტუდენტმა ი. ლიგამ, რომელიც ფრუნზეში რატომღაც „კოლმეურნის“ ინტერესსაც იცავდა — 149-151-ე (5.37,0), ნ. სუდაკოვსკაია 153-ე ადგილზე გავიდა — 5.38,0. წალკელი ო. დილიანოვა აჭარის გუნდისა და „კოლმეურნის“ სახელით გამოდიოდა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ 169-ე ადგილი გაიყო — 5.47.0 ცხინვალელი ლ. თედეევა კი ფინიშამდეც ვერ მივიდა.

20 წლის ზევით ქალებს 2000 მეტრი უნდა გაერბინათ. აქ სარბიელზე უფრო მეტი სპორტსმენი (199) გამოვიდა. დაძაბულ ბრძოლაში უველაზე კიეველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. პანგელოვამ აჯობა — 6.16,2. საქართველოს კროსმენებიდან უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელი ნ. ბეზზუბენკოვა—6.59,2. მან 68-69-ე ადგილები გაიყო. ქუთაისელი სპორტსმენი, „ლოკომოტივის“ წევრი ლ. მაკაროვა, რომელიც ფრუნზეში საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის სახელით გამოდიოდა, 143-ე ადგილით დაკმაყოფილდა — 7.37,0. ჯ. ზანთარია (აფხაზეთი) ფინიშთან 151-ე იყო—7.42,2. საქართველოს ჩემპიონმა, წალკელმა ე ზურნაჩიანმა სხვა თანასოფლელებივით აჭარისა და „კოლმეურნის“ სახელის დასაცავად ბრძოლაში ბათუმში ნაჩვენები შე-

დეგი (7.32,2) ფრუნზეში 13,8 წამით გააუარესა და 153-ე ადგილა დასჯერდა.

17-18 წლის ჭაბუკები 3000 მეტრზე რბენაში ასპარეზობდნენ. აქ საქართველოს კროსის სამივე პრიზორმა — თბილისელებმა ს. ხაჩატურიანმა, ვ. მანაევმა (საკავშირო კროსში აჭარისა და „კოლმეურნის“ სახელით გზმოდიოდა) და ცხინვალელმა ვ. ტასოევმა ბათუმში ნაჩვენები შედეგები საგრძნობლად გაუუმჯობესეს — ფრუნზეში მათ შესაბამისად 9.26,2, 9.52,0 და 9.44,0 აჩვენეს და, მიუხედავად ამისა, მხოლოდ 35-ე, 99-ე და 77-ე ადგილები ხვდათ.

ნათხოვარი სპორტსმენები გამოდიოდნენ 3000 მეტრზე 19-20 წლის იუნიორთა და 8000 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაშიც. იუნიორებში გამარჯვებულ ესტონელ ე. ხელიკს (8.41,6) ბ. არველაძე (საქართველო, აჭარა, „კოლმეურნე“) 44,4 წამით ჩამორჩა. ამ შედეგმა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს მხოლოდ 81-ე ადგილი მოუტანა (როგორც შემდეგ გამოირკვა, არველაძის სახელით თბილისელ გ. ხარაზიშვილს ურბენია). საქართველოს ჩემპიონი, თბილისელი ა. ბოლგოშვილი 82-ე იყო — 9.27,0, ქუთაისელი მ. გურეშიძე (საქართველო, აფხაზეთი) 116-ე აღმოჩნდა —9.43,0. ცხინვალელმა ვ. გათიკოევმა თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა, ბათუმში ნაჩვენები შედეგი (9.35,0) ფრუნზეში 21 წამით გააუარესა და 142-ე ადგილს დასჯერდა.

ასევე საგრძნობი იყო სხვაობა ვაჟებში გამარჯვებულ ალმაათელ ა. ბაღრანკოვისა (24.53,4) და ჩვენს გუნდში საუკეთესო ე. გათიკოევის (საქართველო, სამხრეთ ოსეთი, ცხინვალი, „კოლმეურნე“ — 27.12,0) მაჩვენებლებს შორის. გათიკოევი 74-ე ადგილზე დარჩა. გ. ხუფაცარია (საქართველო, აჭარა) 107-ე იყო — 27.58,0, ზ. ქავზინაძე—111-ე (28.05,0). რ. მუსელიანი — 103-ე — 28.31,0.

საქართველოდან ვეტერანთა შეჯიბრებაში არავინ გამოსულა.

საქართველოს წარმომადგენელთა ტექნიკური შედეგები ცხადყოფს, რამდენად ჩამორჩება მძლეოსნობა ჩვენში. ამ ჩამორჩენის მიზეზი კი, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, უზრუნველობაა. საინტერესოა როგორ მოხვდნენ აჭარის გუნდში წალკელები ანანიკოვა, დილიანოვა, ზურნაჩიანი? იქნებ წალკის რაიონი ტერიტორიულად აჭარას შეუერთდა და ჩვენ არ გაგვიგია? ან რა კავშირი აქვთ აჭარის კოლექტივთან მანაევს, არველაძეს (ხარაზიშვილს) და ხუფაცარიას?

როგორ მოხდა, რომ ქუთაისელი გურეშიძე აფხაზეთის სპორტულ ღირსებას იცავდა, ხოლო მისი თანაქალაქელი მაკაროვა სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის სახელით გამოდიოდა, ან „ბურევესტნიკის“ წევრი ლიგა საიდან გაჩნდა „კოლმეურნის“ გუნდში?

ერთ შეჯიბრებაში ამდენი სიყალბე, წესის ამდენი დარღვევა პირდაპირ დაუჯერებელია. რას ფიქრობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის სალოკო კომიტეტების ხელმძღვანელები, როცა ბეჭდის დასმითა და ხელმოწერით ამტკიცებდნენ სიყალბით სავსე განაცხადებს? ან ექიმები როგორ აღასტურებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენთა ჯანმრთელობას, როცა ისინი თვალითაც არ ჰყავდათ ნანახი?

ვფიქრობთ, საკავშირო კროსის ჩამტარებლებმაც ვერ გამოიჩინეს სიფხიზლე, როცა წალკელები და თბილისელები აჭარის გუნდის სახელით დაუშვეს შეჯიბრებაზე, ქუთაისელები კი აფხაზეთისა და ცხინვალის სპორტსმენებად მიიღეს. დარწმუნებული ვართ, სამანდატო კომისიას არც ერთი სპორტსმენის საბუთები არ შეუმოწმებია.

აი, სად მარხია ძაღლის თავი, აი, რატომ ვერ ვითარდება მძლეოსნობა საქართველოში.

ჩვენ არ გვაინტერესებს, როგორ დააკომპლექტებს გუნდები სხვა რეპუბლიკებმა, მხარეებმა, ოლქებმა და ქალაქებმა, ჰქონდათ თუ არა მათაც ასეთივე დარღვევები. ჩვენ ჩვენი ნაკლის გამოსწორებისთვის ვიზრუნოთ და პატიოსან ბრძოლაში მოპოვებული წარმატებებით ვიბაროთ. სიყალბეს ბოლო უნდა მოეღოს, თორემ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში კიდევ უფრო შევრცხვებით.

ო. გელაშვილი.

ქაქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

ხელმძღვანელთა მთავარი საზრუნავი

ამას წინათ ლვოვში ჩატარდა მესტენდურეთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. საასპარეზოდ შეგროვდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 16 გუნდი. ყოველ კოლექტივში 8 მოზრდილი, 2-2 ქალი და მოზარდი სპორტსმენი იყო. ასეთი მასობრიობა საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა კავშირის მესტენდურეთა მიერ ბოლო წლებში მოპოვებული წარმატებების შენარჩუნებისთვის ზრუნვამ განაპირობა. მოკავშირე რესპუბლიკებს კი ისიც სურდათ, რომ ხალხთა სპარტაკიადის წინ მეტოქეთა დაზვერვის ეს საუკეთესო საშუალება მაქსიმალურად გამოეყენებინათ.

საქართველოს მესტენდურეები ხალხთა V სპარტაკიადაში დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ. მას შემდეგ კოლექტივი, განსაკუთრებით მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდი, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ნაკრები ლვოვიდან შინ ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა. ვარაუდი არ გამართლდა: კოლექტივმა კომპლექსურ ჩათვლაში 1600 შესაძლებლიდან 1249 ქულა მოაგროვა და XII ადგილს დასჯერდა. ჩვენებს გაუსწრეს მოსკოვის (1412 ქულა), უკრაინის (1399), რსფსრ-ს (1393), ბელორუსიის (1391), ლენინგრადის (1335), ლიტვის (1333), ყაზახეთის (1314), უზბეკეთის (1304), თურქმენეთის (1282), ესტონეთისა (1274) და აზერბაიჯანის (1269) გუნდებმა.

რა მოხდა?

მრგვალ სტენდზე მოასპარეზე ვაჟებმა, მართალია, თავიანთი შესაძლებლობა მთლიანად ვერ გამოავლინეს, მაგრამ მაინც დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს და III ადგილი დაიკავეს. ტ. ჟღენტმა („ლოკომოტივი“) 150 შესაძლებლიდან გუნდს 141 ქულა შესძინა, თ. მატოიანმა („განთიადი“) — 138, თამაზ იმნაიშვილმა („ლოკომოტივი“) — 139, ა. სეროკმა (ასკ) — 134. სულ ოთხეულმა 552 ქულა მოაგროვა და ქულით ჩამორჩა მოსკოვის გუნდს, რომელმაც II ადგილი დაიკავა (გაიმარჯვა რსფსრ-ს კოლექტივმა — 572 ქულა). მოზარდმა სპორტსმენმა ზ. მელაძემ 100-დან მხოლოდ 82 ქულა დაგროვა, ხოლო ქალებში მოასპარეზე რ. მაჩხანელმა — 66.

უხეიროდ გამოვიდნენ ადგილიდან მსროლელები. უველას ისევ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სარბიელზე ახლახან დაბრუნებულმა კ. დარასელიამ („განთიადი“) აჯობა, მაგრამ სახარბიელო შედეგი არც მას აღმოაჩნდა — 150-დან 126 ქულა. ვ. ალავერდოვმა („ლოკომოტივი“) გუნდს 114 ქულა შესძინა, თენგიზ იმნაიშვილმა — 112, ა. ბუკიამ (ორივე — ასკ) — 104. კოლექტივს XI ადგილი ხვდა. ამას მოზარდი კ. ციხისელისა („ლოკომოტივი“) და ე. მელიქიშვილის (ასკ) წარუმატებლობაც დაემატა. მათ 100-დან შესაბამისად 38 და 55 ქულა მოაგროვეს.

რატომ ჩამორჩა ასე საქართველოს გუნდი? შედეგებზე საერთოდ ძალიან იმოქმედა ხანგრძლივმა თოვლნარევმა წვიმამ. მთელ ტურნირში ერთადერთი მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში გამარჯვებული ი. ცურანოვი (რსფსრ) იყო, რომელმაც კარგ შედეგს მიაღწია — 200-დან 197 ქულა მოაგროვა (ფინალისტებს პირად პირველობაში ადგილების განაწილებისთვის დამატებით 50 სამიზნე ეძლოდათ). თანაგუნდელი მ. შეგეროვი მას 3 ქულით ჩამორჩა, მოსკოველი ა. ალიევი — 4 ქულით. ამ უკანასკნელებმა II და III ადგილები დაიკავეს. ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ტ. ჟღენტი 189 ქულას დასჯერდა. მატოიანმა 187 ქულა მოაგროვა, იმნაიშვილმა — 186, ხოლო სეროვმა — 182.

ადგილიდან მსროლელ ვაჟებში იმარჯვეს ლ. ბელიჩენკომ (უკრაინა) — 182 ქულა, ნ. სავინიჩმა (უზბეკეთი) — 181, ა. ანდროშკინმა (ლენინგრადი) — 180. აქ ჩვენი რესპუბლიკიდან 200 სამიზნე დარასელიამ მიიღო და 168 ქულას დასჯერდა.

საქართველოს ადგილიდან მსროლელთა წარუმატებლობა იმანაც გამოიწვია, რომ გუნდი საასპარეზოდ შეჯიბრების წინაღამით ჩავიდა და ვარჯიში კი არა, ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრო.

რესპუბლიკის მესტენდურეთა ნაკრების ხელმძღვანელობამ, თუ სურს სპორტსმენთა შესაძლებლობანი ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მაქსიმალურად გამოიყენოს და საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილისთვის იბრძოლოს, ამთავითვე უნდა იზრუნოს მსროლელებისთვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნისთვის. ასპარეზის ადგილზე გუნდი რამდენიმე დღით ადრე უნდა ჩავიდეს, რათა იქ წვრთნის საშუალება ჰქონდეს. აღარას ვამბობთ ხარისხიან იარაღსა და ტყვია-წამალზე, რითაც მესტენდურეები მაინცდამაინც განებივრებული არ არიან.

რ. მაღრაძე.

სპორტული გორი

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გაბართული კროსში 200 ფიზკულტურელი ჩაება. ყველას აჯობეს ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. მომდევნო საარჩიო ადგილებზე გავიდნენ ბამბეულის კომბინატის ფეიქრები და მათი მომავალი კოლეგები, 39-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

* * *

პედინსტიტუტის სპორტდარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბამბეულის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, ახალგაზრდული სპორტსკოლის, მე-9 სამშენებლო ტრესტისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები. პედინსტიტუტისა და ბამბეულის კომბინატის მოჭიდავეებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ კოეფიციენტის წყალობით გამარჯვება ფეიქრებს დარჩათ. III ადგილზე იყვნენ სპორტული სკოლის აღსაზრდელები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. კახნიაშვილი (ბამბეულის კომბინატი), ჭ. მოდორიანი (პედაგოგიური ინსტიტუტი), თ. ფილიმონოვი (მე-11 საშ. სკოლა), ა. სირანაშვილი (ბამბეულის კომბინატი), გ. თედიაშვილი (საკონსერვო ქარხანა), თ. ჯანანაშვილი, მ. წიკლაური (ორივე — ბამბეულის კომბინატი), ნ. გაგიევი (სამშენებლო ტრესტი), რ. საათაშვილი და ი. გოგინაშვილი (ორივე — პედაგოგიური ინსტიტუტი).

* * *

ჭადრაკი სულ უფრო პოპულარული ხდება ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. ბევრ საწარმოსთან და დაწესებულებასთან შექმნილია ამ სახეობის სექციები. საქალაქო პირველობები ტრადიციად იქცა. ახლახან ჩატარებულ შეჯიბრებაში, მაგალითად, 19 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ოსტატობის კანდიდატები შ. თოთლაძე, გ. მუკნიაშვილი და გ. კუთარაშვილი, რომლებმაც შესაბამისად საარჩიო ადგილები მოიპოვეს.

ჩატარდა, აგრეთვე, პიონერული რაზმიულების ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება. აქ უველას აჯობეს პირველი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

დეკეშა გზიდან

როგორც 27 აპრილის ნომერში ვიტყობინებოდით, თბილისში სტარტი აიღო ტურისტულმა ავტოგადარბენამ მარშრუტით: თბილისი — ბაქო — კრასნოვოდსკი — აშხაბადი — მარი — ბაირამ-ალი — ბუხარა — სამარყანდი — ურგენჩი — ხივა და უკან.

ამ საინტერესო გადარბენაში მონაწილეობენ „სპარტაკის", აგრეთვე, ტურიზმისა და მოგზაურობის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოსექციის წევრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები.

როგორც გზიდან დეპეშით გვაცნობებს, ავტოგადარბენა საუცხოოდ მიმდინარეობს. აშხაბადიდან მიღებულ ტელეგრამაში გადარბენის მონაწილენი „ლელოს" მკითხველებს გულითადად ულოცავენ გაზაფხულის დღესასწაულს—მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს — 1 მაისს.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა
III ზონა

2 მაისს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო" (ციროვბადი) — „ლორი" (ცროვაკანი) 3:0, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „ კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „გურია" (ლენინუთი) 1:0, „დინამო" (ვოლოგდა) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 2:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (ბათუმი) 1:2, „დინამო" (ბრიანსკი) — „დილა" (გორი) 1:1, „ურალანი" (ელისტა) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „მერცალი" (მახარაძე) 1:0.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

სპასკი — კარპოვი 1:3

(5 ყაიმი)

მეცხრე პარტია

კარპოვი — სპასკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 e6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 d6 6. ♗e2 ♗e7 7. 0—0 0—0 8. f4 ∂c6 9. ♗e3 ♗d7 10. ∂b3 a5 11. a4 ∂b4 12. ♗f3 ♗c6 13. ∂d4 g6 14. ♗f2 e5 15. ∂:c6 bc 16. fe de 17. ♖f1 ♖c8 18. h3 ∂d7 19. ♗g4 h5 20. ♗:d7 ♖:d7 21. ♖c4 ♗h4 22. ♗d2 ♖e7 23. ♗f1 ♗f8 24. ∂h1 ♖b7 25. [illegible] 26. [illegible] ∂a6 27. [illegible] 28. [illegible] 29. ∂f3 [illegible] ♖e6 ♗ad8 32. ♗:d8 ♗:d8 33. ∂d1 ∂b8 34. ♗c5 ∂h8 35. ♗:d8. შავები დანებდნენ.

მეათე პარტია გადატანილია

ლენინგრადი, 6 მაისი. სპასკი — კარპოვის მატჩის X პარტია, რომელიც დღეს უნდა გაჩართულიყო, სპასკის ავადმყოფობის გამო 8 მაისისთვისაა გადატანილი.

55 წითელი ვარდი

ამას წინათ დორტმუნდში (გფრ) ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი დაიწყო. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არის მოჭადრაკე ქალიც — მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი.

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა დორტმუნდს და ნ. გაფრინდაშვილს ესაუბრა.

— ტურნირში საინტერესო შემადგენლობამ მოიყარა თავი. აი, მონაწილენიც წელისყრის მიხედვით: ო. ბორაკი (გფრ), კ. პიტელი (პოლონეთი), ფ. ბახმანი (გფრ), ნ. გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი), მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია), ე. კრაუზელი (გფრ), ლ. საბო (უნგრეთი), ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), ე. პაოლი (იტალია), კ. ჰიუტემანი, რ. ზერვატი, რ. ბუში (სამივე — გფრ). როგორც ხედავთ, მათ შორის ორი დიდოსტატი და ოთხი საერთაშორისო ოსტატია.

3 მაისს ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა დაბადების დღე მომილოცეს 55 წითელი ვარდით — ამდენ წელიწადს გეტარებინოთ ჩემპიონის გვირგვინი.

I ტურში საერთაშორისო ოსტატ პაოლის შეხვდი. სიცილიურ დაცვაში მან პაიკი შემომწირა, რათა აქტიური თამაში მიეღო. ეს პაიკი ზუსტი მანევრებით შევინარჩუნე და იერიშზე თავად გადავედი. იტალიელმა მოჭადრაკემ ფიგურა დათმო და, ცხადია, პარტიაც წააგო.

ბორაკმა სძლია ბუშს, საბომ — კრაუზელს. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: პიტელი — ზერვატი, ბახმანი — ჰიუტემანი, დამიანოვიჩი — ჩოკილტია.

II ტურში ჰიუტემანთან პარტია ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ უკეთეს დაბოლოებაში გადავდე. თამაშის განახლებისას გაჭიანურდა უპირატესობის რეალიზება. საკონტროლო დროისთვის ცუდად ვითამაშე და პარტია ყაიმით დამთავრდა.

საბომ ამჯერად ბუშს მოუგო. დამიანოვიჩმა დაამარცხა პაოლი, ჩოკილტიამ — კრაუზელი. ყაიმზე შეთანხმდნენ ზერვატი და ბახმანი. ბორაკ — პიტელის პარტია გადაიდო.

III ტურში ზერვატს ვხვდებოდი. მან სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი აირჩია. მე პაიკი შევწირე. ზერვატმა ხარისხის შეწირვით ინიციატივის ხელში ჩაგდება მოინდომა, მაგრამ ამაოდ. მე-17 სვლაზე მას დანებება მოუხდა.

საბო და ჩოკილტია დაზავდნენ. ბახმანმა მოუგო ბორაკს. სამი პარტია გადაიდო.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ დიდოსტატ საბოსა და მე 2,5-2,5 ქულა გვაქვს.

ახლა ზედიზედ სამი ტური გვექნება. მეოთხე ტურში შევხვდები ბორაკს, მეხუთეში — პიტელს, მეექვსეში — ბახმანს.

ინიციატივა — გამარჯვების საწინდარი

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. VII ტური. რ. ჯინჯიხაშვილი — ე. მიქაელიანი 1:0, მ. ჭიპაშვილი — ზ. ბურჭულაძე 0,5:0,5, ა. ბუსლაევი — გ. ზაიჩიკი 1:0, კ. ჩიგოგიძე — ზ. აზმაიფარაშვილი 0:1, ა. ბიკუჩავა (ყველა — თბილისი) — ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 0,5:0,5, გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — ე. უბილავა (თბილისი) 0:1. ორი პარტია გადაიდო.

ჯინჯიხაშვილი ჩემპიონობის ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტია. ეს არც არის გასაკვირი — იგი ხომ სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირის მონაწილეა. მაგრამ საქართველოს პირველობის სტარტზე ჯინჯიხაშვილი ლიდერთა შორის არ ჩანს. საქმე ისაა, რომ მას სამი პარტია გადადებული აქვს. ნიჭიერი ოსტატი ენერგიულად თამაშობს. მიქაელიანთან იერიში მან თავიდანვე ჩაიფიქრა. ლაზიერის გამბიტში, როგორც კი გრძელი როქი გაკეთდა, შავ მეფეს პაიკებით შეუტია. თავდასხმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მე-20 სვლაზე მაქაელიანმა წინააღმდეგობა შეწყვიტა.

VIII ტური. აზმაიფარაშვილი — ზ. მიქაძე 0:1, უბილავა — ჩიგოგიძე 1:0, ზაიჩიკი — ბიბილაშვილი 1:0, ზ. ბურჭულაძე — ბუსლაევი 1:0, გ. კალატოზიშვილი — ჭიპაშვილი 0:1, ლ. ნეურონოვი — ე. გუფელდი 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — ტუზოვსკი 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: გუფელდი, უბილავა—5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, მიქაძე — 5 (1), ბუსლაევი, ბოკუჩავა — 4-4 (1-1), აზმაიფარაშვილი — 4, ჯინჯიხაშვილი — 3,5 (3).

ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა ნეურონოვმა წინდახედული თამაშით გუფელდს აქმეური ბრძოლის შანსი არ მისცა. დიდოსტატმა ვერც ენდშპილში მიაღწია წარმატებას.

ტუზოვსკი ყაიმების მოყვარულია. მაგრამ ჯინჯიხაშვილთან ყაიმის მიღწევა არც ისე ადვილია. ეს იცოდა ტუზოვსკიმ და თავიდან მარტივი პოზიციისკენ მიილტოდა: ცვლიდა შემტევ ფიგურებს, ანელებდა დაძაბულობას. ამ ტენდენციის წინააღმდეგ ჯინჯიხაშვილმა ვერაფერი გააწყო.

აზმაიფარაშვილმა შესამჩნევად შებოჭა მიქაძის ფიგურები, მაგრამ ცენტრში იჩქარა გარღვევა.

ჭაბუკმა ბურჭულაძემ გამოცდილ ბუსლაევს 14 სვლაში მოუგო. რა მოხდა? უფიმცევის დაცვის თეორიულ ვარიანტში ბუსლაევმა უსწოროდ ითამაშა და მყისვე დაისაჯა.

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. VII ტური. მ. ვახეიშვილი — ქ. გაჩეჩილაძე 0:1, მ. წერეთელი — ლ. თანდაშვილი 1:0, მ. მამისთვალოვა — ქ. გეგიძე 0,5:0,5, ც. კობაიძე — ე. ბაშინურიძე 1:0, თ. ხუგაშვილი — ვ. კუპრაშვილი (ყველა — თბილისი) 1:0, ნ. ხუბულური (ონი) — ლ. ბელოზიოროვა (თბილისი) 0,5:0,5, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — ე. აპრესოვა (გორი) 0,5:0,5. სამი პარტია გადაიდო.

კვლავ კარგად ითამაშეს ოსტატებმა. კობაიძემ თბილისის ჩემპიონ ბაშინურიძესთან ლაზიერის გამბიტის კლასიკურ სისტემაში მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

ხუგაშვილმა ფრანგულ დაცვაში პაიკთა იერიში განახორციელა. კუპრაშვილს დაცვა ცაიტნოტში მოუხდა. მართალია, პარტია გადაიდო, მაგრამ მეორე დღეს კუპრაშვილმა იგი დათმო.

ჩაიკოვსკაიამ, უპირატესობას რომ ვერ დაეუფლა, მანველოვას ყაიმი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მერე მანველოვა შეცდა. პარტია გადაიდო, ჩაიკოვსკაიას მოსაგები პოზიცია აქვს.

VIII ტური. მ. ქალანდაძე — კუპრაშვილი 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია — ხუგაშვილი 0,5:0,5, გეგიძე — ჯანჯღავა 1:0, თანდაშვილი — მამისთვალოვა 1:0, გურიელი — წერეთელი 0,5:0,5, ბელოზიოროვა — ც. კახაბრიშვილი 0:1. ოთხი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კობაიძე — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ხუგაშვილი — 5,5 (1), ჩაიკოვსკაია — 5 (2), გურიელი, წერეთელი — 5-5 (1-1), გაჩეჩილაძე, იოსელიანი — 4,5-4,5 (2-2).

დაძაბულად მიმდინარეობდა ჩაიკოვსკაია — ხუგაშვილის შეხვედრა. შავებმა ხარისხის დათმობით ინიციატივისთვის დაიწყეს ბრძოლა. ჩაიკოვსკაია არ ფიქრობდა მატერიალური უპირატესობის შენარჩუნებას. მან უკან დააბრუნა ხარისხი და თამაშიც გათანაბრდა.

გეგიძემ მარჯვედ გაითამაშა პარტიის დასაწყისი. ჯანჯღავას მეფე ცენტრში დაყოვნდა. ამან გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი: გეგიძემ მეტოქის მეფე დალაშქრა.

საქართველოს ჩემპიონმა კახაბრიშვილმა ფიგურის დროებითი შეწირვით ბელოზიოროვას მეფეზე სასიკვდილო იერიში მიიტანა.

გურიელისა და წერეთლის შეხვედრა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

თ. ნინოშვილი.

„ტრე კრუნური" მოთამაშეებს კარგავს

◆ **სტოკჰოლმი,** 6 მაისი. ჰოკეიში მსოფლიოს ამასწინანდელი ჩემპიონატის დროს შვეიცის გაზეთები შეშფოთებით წერდნენ ოკეანისგადმელ საქმოსნებზე, რომლებიც ჰელსინკში აშკარა მიზნით ჩავიდნენ: აშშ-სა და კანადის პროფესიულ კლუბებში გადაბირებინათ ევროპის მოთამაშეები. სპორტული მომზხილველების შინი საფუძველს როდი იყო მოკლებული. როგორც სტოკჰოლმის პრესა იუწყება, შვეიცის ნაკრების 28 წლის თავდამსხმელებმა ანდერს ჰედბერგმა და ულფ ნილსონმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი და წლევანდელი შემოდგომიდან კანადის პროფესიულ კლუბ „ვინიპეგ ჯეთსში" გამოვლენ (ეს კლუბი საერთაშორისო ჰოკეის ასოციაციაში შედის).

„ტრე კრუნური" უკვე დაემშვიდობა საუკეთესო მცველებს ბერგმანსა და სალმინგს, აგრეთვე, თავდამსხმელებს ჰამარსტრიომსა და სტერნერს. პროფესიულ კლუბ „ლონდონ ლაიონზში" აღმოჩნდა შვეიცის ნაკრების მეკარე ჰოლმკვისტიც.

შვეიცის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფესიული კლუბები „ტრე კრუნურის" კიდევ რამდენიმე მოთამაშეზე ნადირობენ. ასახელებენ ძმებს აბრაჰამსონებს და ნაკრების კაპიტანს, მცველ შიობერგს.

პირველი დარტყმა... ქორვაჭრებისაა

◆ **ბონი,** 6 მაისი. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მომავალმა ფინალურმა შეჯიბრებამ დიდი „ინტერესი" გამოიწვია დასავლეთგერმანელ ბიზნესის მოყვარულთა შორის. უკვე დღეს, შეჯიბრების დაწყებამდე ხუთი კვირით ადრე, მატჩის ბილეთების ფასი შავ ბაზარზე თითქმის ათჯერ გაიზარდა. ადგილობრივ გაზეთებში ხშირად იბეჭდება ასეთი განცხადებები: „შემძლია შემოგთავაზოთ დასკვნითი მატჩის ოთხი 80-მარკიანი ბილეთი თითოეული 1000 მარკად".

ექსპერტების აზრით, გასაყიდად გათვალისწინებული 2,5 მილიონი ბილეთი რამდენიმე ათეული ათასი ქორვაჭრის ხელში მოხვდა. „შავი ბაზრის ავანჩავანთა ბიზნესმა, — ამბობს ჰორსტ შმიდტი, რომელსაც ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვა ავალია, — შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო. მაგრამ ჩვენ, ისევე როგორც პოლიცია, უძლური ვართ ყოველივე ამის წინააღმდეგ".

კარგ ბაზრებში ბილეთების ფასი 19-45 იყო...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲐᲜᲘ-74

● **მოსკოვი,** 2 მაისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ტრადიციულმა მძლეოსნურმა ესტაფეტამ გზეთ „ვეჩერნიაია მოსკვას" პრიზზე. ამ ტრადიციულ, რიგით 47-ე შეჯიბრებაში 3500 მორბენალმა (110 გუნდი) მიიღო მონაწილეობა. მთავარ ესტაფეტაში (სულ ოთხი გარბენი ჩატარდა) ყველას აჯობა ცსკა-ს გუნდმა — 35.09,8. დინამოელები გამარჯვებულებს სულ 2,2 წამით ჩამორჩნენ. III ადგილზეა „სპარტაკი".

● **ვარშავაში** (გფრ), 4 მაისი. თანამედროვე ხუთჭიდში ევროპის თასის პირველმა გათამაშებამ ყველაზე დიდი წარმატება უნგრეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს მოუტანა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ბუდაპეშტის „ჩეკელმა" — 19052 ქულა (ამ საბჭობის ტურნირებში პირველად შეჯამდა ოთხივე მონაწილის ქულები), ხოლო პირად ასპარეზობაში საუკეთესო იყო კიეველი ბ. ონიშჩენკო — 5066 ქულა. საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავდა უკრაინის სპორტსმენთა ოთხეული (ონიშჩენკოს გარდა გამოდიოდნენ ლ. ივანოვი, ა. მიშნევი და ვ. ლედნიოვი) და საბოლოოდ II ადგილი დაიკავა — 18573 ქულა. ეს კვარტეტი თავისუფლად შეიძლება პირველიც ყოფილიყო, ლედნიოვს საცხენოსნო კროსში ნული რომ არ მიეღო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 15 ქვეყნის გუნდები — თავიანთი სახელმწიფოების ჩემპიონები.

● **ფრუნზე,** 5 მაისი. საბჭოთა კავშირის გმირ ჩ. ტულებერდიევის სახელობის პრიზი ყირგიზეთის დედაქალაქის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მოიგო. ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა. ტურნირში შუა აზიის, უაზახეთისა და ციმბირის შვიდი ქალაქის 170 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩ. ტულებერდიევმა სამამულო ომში ა. მატროსოვის გმირობა გაიმეორა და მის ხსოვნას დიდ პატივს სცემენ ყირგიზეთში. ეს მემორიალიც ტრადიციად იქცა.

● **მოსკოვი,** 5 მაისი. დღეს სპორტის სასახლე „სოკოლნიკში" გაიმართა ჰოკეიში სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ადგილობრივი გუნდების — „დინამოს" და „სპარტაკის" შეხვედრა. ანგარიშით 4:2 (1:1, 1:1, 2:0) გაიმარჯვეს დინამოელებმა. ქვეყნის ჩემპიონმა — მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა" იოლად სძლია ვოსკრესენსკის „ხიმიკს" — 5:1 (3:0, 0:0, 2:1). ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" და „კრილია სოვეტოვი". 8 მაისს „კრილია სოვეტოვს" „დუბლის" გაკეთების კარგი შანსი აქვს.

როცა საქმოსნები განაგებენ...

◆ **დეპეშის** თასის გათამაშების ევროპის „ბ" ზონის მესამე წრის მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა: არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ჩოგბურთელებმა პირდაპირ გაანადგურეს ინგლისელები — 5:0.

ეგვიპტის „სწრაფად მზარდ ჩოგბურთელებს ჩრდილი რომ არ მივაყენოთ და მათი ლიდერი ისმაილ ელ შაფეიც ხოტბით მოვიხსენიოთ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ინგლისის ნაკრებმა თავის რიგებში უძლიერეს სპორტსმენებს თავი ვერ მოუყარა. ხუთი მათგანი, რომელთა რიცხვში მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის ჩოგბურთელები როჯერ ტეილორი და მარკ კოქსიც შედიან, ამერიკული პროფესიული ცირკის მესვეურებმა, დაპირების მიუხედავად, კაიროში საასპარეზოდ არ გაუშვეს. საქმოსნებს სულაც არ ადარდებთ ინგლისის ჩოგბურთის რეპუტაცია და აინტერესებთ მხოლოდ შემოსავალი, რომელსაც სახელმოხვეჭილი მოთამაშეები აძლევენ.

შემდეგ წრეში ეგვიპტელები ასევე შინ ითამაშებენ — შეხვდებიან იუგოსლავიის გუნდს, რომელმაც ანგარიშით 3:2 ბელგიელებს სძლია.

ამ მატჩში გამარჯვებული 18-20 ივლისს სსრ კავშირში ითამაშებს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან, რომელიც კონტინენტის სხვა სამი საუკეთესო გუნდის მსგავსად ნახევარფინალიდან შეუდგება გათამაშებას.

„ბ" ზონაში გფრ-ის კოლექტივმა დანიის ნაკრები დაამარცხა — 5:0.

ევროპის „ა" ზონაში მესამე წრის მატჩები ასე დამთავრდა: საფრანგეთი — პორტუგალია 5:0, ავსტრია — ახალი ზელანდია 3:1. შეხვედრები: ჰოლანდია — ფინეთი და შვეიცარია — პოლონეთი მოგვიანებით გაიმართება.

ჩვენ ამბავ ★ ეროვნულ ბიბლიოთეკაში



ჩქარი მდინარის ტრასაზე ● ფილმებში და ცხოვრებაში

ლატვიაში ძალიან პოპულარულია სანიჩბოსნო სლალომი. პატარა და ჩქარი მდინარეების სიმრავლე ხელს უწყობს სპორტის ამ „ახალგაზრდა“ სახეობის განვითარებას. ამჟამად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში 11 სპორტის ოსტატია.

აპრილში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის ასმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი მდინარე ამატაზე, სადაც მოეწყო „შრომითი რეზერვების“ პირველობის გახსნა. შეჯიბრება ლატვიაში სანიჩბოსნო სლალომის დამკვიდრების 10 წლისთავს მიეძღვნა. 800-მეტრიან დისტანციაზე, სადაც 30 კარი იდგა, მოწინავე ოსტატებთან ერთად ასპარეზობდნენ მოსწავლეებიც.

• • •

სურათზე: ვალმიერელი მოსწავლე ლ. პუშცურე, რომელმაც ყველას აჯობა ქალიშვილთა შორის.

ი. უიტლუხინის ფოტო.

საჯარო ოლიმპიადა



ლიტვაში დიდად პოპულარულია ცხენოსნობა. ბევრ ქალაქში ამ სახეობის სკოლებიცაა გახსნილი.

სურათზე თქვენ ხედავთ ლიტველ მსახიობს დანუტა კრიშტოპაიტიტეს. მას ხშირად უხდება ფილმებში ცხენოსანი ქალების როლების შესრულება და ამიტომ ვილნიუსის ცხენოსნობის სკოლაში მეცადინეობს.

ტ. უებრაუსკასისა და ვ. სადჩიკოვის ფოტო.

დიალოგი: ვესელინოვიჩი — მილიანიჩი

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი მ. მილიანიჩი დაუკავშირდა თავის თანამემამულეებს, რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა კლუბში მუშაობენ. მწვრთნელის ამოცანაა ცნობები მოაგროვოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შესახებ, რომლებთანაც იუგოსლავიელებს მალე მოუხდებათ ბრძოლა. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც მილიანიჩი ესაუბრა, გახლავთ ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ტ. ვესელინოვიჩი, რომელიც სამხრეთ ამერიკაში მუშაობდა ოთხი წლის მანძილზე.

აი, რა უთხრა ვესელინოვიჩმა იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელს:

— ყველაზე უკეთ ვიცნობ ურუგვაელებს, შემდეგ — არგენტინელებს. სამხრეთამერიკულ ფეხბურთზე მაღალი შეხედულებისა ვარ, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ამ კონტინენტის რომელიმე ნაკრებს დასავლეთ გერმანიაში გამარჯვების სერიოზული შანსები ჰქონდეს. რატომ? იმიტომ, რომ სამხრეთ ამერიკაში არ უნდათ ფეხბურთი აქციონ ნამდვილ სპორტულ ბრძოლად. სწორედ ბრძოლის სულისკვეთებით ჩამოუვარდებიან ისინი ევროპელებს. თამაშის ეს ევროპული სტილი რომ აითვისონ, სამხრეთამერიკელები უბადლონი იქნებიან.

● ეს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს — ბრაზილიის ნაკრებსაც ეხება?

— თამაშის ორგანიზაციით, ოსტატობის დონითა და ნებისყოფის სიმტკიცით ბრაზილია საუკეთესოა სამხრეთამერიკულ გუნდებს შორის, მაგრამ მას ძალიან სჭირდება ერთი ან ორი სნაიპერი, ბრაზილიელებს კი ასეთი სნაიპერები არა ჰყავთ. პელემ და ტოსტამ ხომ საბოლოოდ დატოვეს ასპარეზი.

● მართალია თუ არა, რომ არგენტინულ ფეხბურთს თქვენ ბრაზილიურზე მაღლა აყენებთ?

— არგენტინა ყველაზე „საფეხბურთო“ ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, თუმცა აქამდე არა აქვს მაღალი შედეგები. არგენტინელებს უამრავი შესანიშნავი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ, მაგალითად, ნაკრების ორივე მეკარე კარნეკალი და სამტორო, ცენტრალური მცველი ვოლფი, ნახევარმცველი ერედია, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობს, მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი მასი, აგრეთვე, აიალა იმავე „ატლეტიკოდან“ და ბევრი სხვა. არგენტინელებს რომ შეეძლოთ ამ მოთამაშეთა ორგანიზება, თავმოყრა, მსოფლიო ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწევდნენ.

● როგორია ურუგვაელთა შესაძლებლობები?

— ურუგვაელებს კარგი ნაკრები და არაერთი ჩინებული ფეხბურთელი ჰყავთ. ისინი თამაშის მახვრით ფრიად განსხვავდებიან როგორც ბრაზილიელებისგან, ისე არგენტინელებისგან და ევროპის გუნდებს ჰგვანან. მათი გუნდიდან უნდა აღვნიშნოთ მცველი უბინასი, გარემარბი კუბილა, ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი მორენა. ურუგვაელებს საუცხოო ნახევარდაცვა ჰყავთ, რომელიც შეწყობილად და სწრაფად თამაშობს. ერთი სიტყვით, ეს ძლიერი გუნდია.

ვესელინოვიჩმა დახასიათა ევროპელებზე ილაპარაკა, რომელთა შორის განსაკუთრებით აქო იტალიელები. მისი აზრით, იტალიელები მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

WM 74

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „გახთიადის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: „გახთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ 1973 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადასა და XXI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის საზოგადოების ამოცანების შესახებ“.

დასაწყისი 12 ს.

ფილმი ★ ★ ★